საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 19-21 ივლისი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00 / 20:00 – 22:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
7. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
10. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხი:

- საქართველოს პარლმენტისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივი კონფერენციის დღის წესრიგის სამუშაო ვერსიის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ.
საქართველოს პარლამენტი და ეროვნული პლატფორმა მომდევნო კვირაში გამართავენ ერთობლივ კონფერენციას. განხილული იქნება 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესი და მიმდინარე პროცესში არსებული მიღწევები და გამოწვევები. ასევე იმსჯელებენ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების ნაწილზეც.
საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე იმსჯელეს და განისაზღვრა დღის წესრიგთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ სამუშაო ვერსიაში, მსჯელობის შედეგად განხორციელდა ცვლილებები და დაზუსტებები.
საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა კონფერენციის მისასალმებელ ნაწილში, პარლამენტის თავმჯდომარის, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარისა და ევროკავშირის ელჩის ჩართულობაზე. შესავალი სიტყვით, კონფერენციის მონაწილეებს მიმართავენ ევროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.
მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, განხილვისა და მსჯელობის შედეგად კონფერენციის დღის წესრიგში განისაზღვრა 6 თემა:

1. მართლმსაჯულების რეფორმა;
2. საარჩევნო რეფორმა;
3. დეოლიგარქიზაცია, დეპოლარიზაცია და მედია;
4. ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება;
5. გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა;
6. ეკონომიკური ინტეგრაცია, შრომითი უფლებები.

საბჭოს ინიციატივით, თემატური პანელების მიმდინარეობისას, თავდაპირველად საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები მოხსენებით წარსდგებიან აუდიტორიის წინაშე, და რეკომენდაციის შესრულები ნაწილში არსებულ ვითარებას გააცნობენ. შემდეგ, მომხსენებლები ეროვნული პლატფორმის მხრიდან ისაუბრებენ თითოეულ რეკომენდაციაზე.
მსჯელობისა და განხილვების შედეგად განისაზღვრა მომხსენებლები, ეროვნული პლატფორმის წევრებიდან, თითოეული თემატური პანელისთვის. თავის მხრივ, მომხსენებლები წარმოდგენილი იქნებიან საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის მხრიდან.
ყველა თემატური პანელის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ, გათვალისწინებული იქნება დრო თემატური დისკუსიისთვის.

ერთობლივ კონფერენციაზე უზრუნველყოფილი იქნება დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ასევე მოწვეული იქნებიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები.
კონფერენციასთან დაკავშირებული პრესრელიზები გაიგზავნება ყველა მედიასაშუალებასთან.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე